განცხადება

2011 წლის 20-23 აპრილს ჩატარდება ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXV გაფართოებული სხდომები.

იმუშავებს

– **მათემატიკის საფუძვლებისა და მათემატიკური ლოგიკის** (ხელმძღვანელები – როლანდ ომანაძე, ალექსანდრე ხარაზიშვილი, თანახელმძღვანელი – არჩილ ყიფიანი; email: archil.kipiani@tsu.ge),

გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების (ხელმძღვანელი – მატიას ბაასი (ავსტრია), თანახელმძღვანელები – ჯემალ ანთიძე, ხიმურ რუხაია; email: rukhaia@viam.sci.tsu.ge),

ალგებრისა და გეომეტრიის (ხელმძღვანელები – მიხეილ ამაღლობელი, თეიმურაზ ვეფხვაძე, გიორგი ხიმშიაშვილი, თანახელმძღვანელი - ქეთევან შავგულიძე; email: ketevanshavgulidze@yahoo.com),

ნამდვილი და კომპლექსური ანალიზის (ხელმძღვანელები – გრიგორ გიორგაძე, უშანგი გოგინავა, ლერი გოგოლაძე, თანახელმძღვანელები – გიორგი ახალაია, ანა დანელია; email: z_goginava@hotmail.com, email: gia.giorgadze@tsu.ge),

– **ჩვეულებრივი და კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებებისა და ოპტიმალური მართვის** (ხელმძღვანელები – თამაზ თადუმაძე, რომან კოპლატაძე, დავით ნატროშვილი, სერგო ხარიბეგაშვილი, თეიმურაზ ჯანგველაძე, თანახელმძღვანელი – ზურაბ კიღურაძე; email: tamaztad@yahoo.com, email: tjangv@yahoo.com),

– **ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის** (ხელმძღვანელი – ელიზბარ ნადარაია, თანახელმძღვანელი - ომარ ფურთუხია; email: o.purtukhia@gmail.com),

– **უწყვეტ გარემოთა მექანიკის** (ხელმძღვანელები – თენგიზ მეუნარგია, მერაბ სვანაძე, ჯონდო შარიქაძე, ნური ხომასურიძე, გიორგი ჯაიანი, თანახელმძღვანელი – ნატალია ჩინჩალაძე; email:svanadze@gmail.com, email:chinchaladze@gmail.com),

– **მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის** (ხელმძღვანელები – დავით გორდეზიანი, თამაზ ვაშაყმაძე, ჯემალ როგავა, თანახელმძღვანელი – თეიმურაზ დავითაშვილი; email: dgord37@hotmail.com, email: tamazvashakmadze@yahoo.com)

სექციები, რომლებზედაც მოსმენილი იქნება ოცწუთიანი მოხსენებები.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობის მიღების მსურველებს ვთხოვთ, ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართონ სათანადო სექციების ხელმძღვანელებს და 2011 წლის 25 მარტამდე წარუდგინონ მათ მოხსენების დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე; თანამომხსენებლების შემთხვევაში – ძირითადი მომხსენებლის მითითებით; მონაწილეს შეუძლია მოხსენებით წარდგეს არაუმეტეს ორი სექციის წინაშე, ამასთან, თითოეულ სექციაზე - არაუმეტეს ერთი მოხსენებით).

სემინარზე მოსმენილი მოხსენებები გამოქვეყნდება სათანადო რეცენზირების გავლის შემდეგ. დისკი მოხსენების ტექსტის ჩანაწერით, რომელიც მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს 4 ნაბეჭდ გვერდს, ინგლისურ ენაზე აკრეფილს TEX, LATEX, AMSTEX ან AMSLATEX პროგრამების გამოყენებით, ერთ ამონაბეჭდთან ერთად წარედგინება სექციის ხელმძღვანელს სემინარის მუშაობის დღეებში.

სემინარის მუშაობა დაიწყება 2011 წლის 20 აპრილს 13 საათზე ინსტიტუტის შენობაში (უნივერსიტეტის ქ., 2).

ტრადიციისამებრ, 23 აპრილს 15 საათზე დაგეგმილია ილია ვეკუას საფლავის მონახულება მთაწმინდის პანთეონში.

საორგანიზაციო კომიტეტი